ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომა

22 სექტემბერი 2006 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4/8, ბ. №6

სხდომის დაწყების დრო: 18:08სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ზაზა ხატიაშვილი, როინ მიგრიაული, ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი

სხდომის თავმჯდომარე: კახა ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ტესტირების საფასურის დადგენა;
2. 2006 წლის მაისიდან გაწევრიანებულთა უფლებამოსილების ცნობა;
3. ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესში ცვლილებების შეტანა;
4. სხვა და სხვა:

საბჭოს სხდომა გახსნა თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხით. მისი განმარტებით, ადვოკატთა ტესტირება სასურველია გახდეს ფასიანი შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ასოციაციის წევრის მიერ გადახდილი საწევრო შენატანით არ უნდა დაფინანსდეს იმ პირთა ტესტირება, რომელიც შეიძლება არასოდეს გახდეს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.
2. ვინაიდან, ადვოკატთა ტესტირების ჩატარების ფინანსური უზრუნველყოფა აღარ ხდება გრანტის სახით შემოსული ფინანსური სახსრებით და ტესტირების ჩატარება უნდა უზრუნველყოს ადვოკატთა ასოციაციამ საკუთარი რესურსით, აუცილებელია ტესტირებაში მონაწილეობისათვის საფასურის დადგენა.

ადვოკატთა ტესტირების საფასურის ოპტიმალურ თანხად დასახელდა 50 ლარი, რასაც საფუძვლად დაედო ტესტირების პროგნოზირებადი ხარჯების გაანგარიშება.

განხილულ იქნა 2006 წლის 18-23 მაისს ტესტირება გავლილ იმ პირთა წევრობის საკითხი, რომლებიც აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ" მე-10 მუხლის მოთხოვნებს და გაწევრიანების პროცედურა განხორციელებული აქვთ გამარტივებული წესით აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ასოციაციის თავმჯდომარემ წარმოადგინა ტესტირების ჩატარების წესში შესატან ცვლილებათა პროექტი. სხდომაზე პროექტთან დაკავშირებით საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხად ადვოკატთა ტესტირების თარიღი განისაზღვრა.

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. ადვოკატთა ტესტირების საფასური განისაზღვრა 50 ლარის ოდენობით:
2. აღმასრულებელი საბჭოს მიერ გამარტივებული წესით გაწევრიანებულ პირთა უფლებამოსილება.
3. ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ადვოკატთა ტესტირების წესსა და ვადებს, ადვოკატთა ტესტირების საფასურს, აგრეთვე ტესტირებაზე დაშვების მიზნით განცხადების მიღების ვადებს ამტკიცებს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭო;
   მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ასლი და იურიდიული განათლების დამადასტურებელი სხვა საბუთი)
   მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის (სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის) მიხედვით. განაცხადის შეტანა და ტესტირებაში მონაწილეობა ერთდროულად ორი სპეციალიზაციით, დაუშვებელია.
4. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების თარიღი.
   ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატთა ტესტირება გაგრძელდება ხუთი დღე, 26 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ასლანიშვილი, ზაზა ხატიაშვილი, როინ მიგრიაული, ზურაბ ტაბიძე, დავით ასათიანი

გადაწყვრტილება მიღებულ იქნა ერთხმად, ღია კენჭისტრით.

კახაბერ ასლანიშვილ
ასოციაციის თავმჯდომარე: